# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—შაბათი, 25 ნოემბერი 1900 წ. № 1308

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**

**ქუთაისის ქართული დრამატიული დასის არტისტები**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას ძვირფასი მათი ამხანაგისა და თანამშრომელის

## კნ. ბარბარე ანდ. ასყული ავალიშვილისას

სთხოვენ მიცვალებულის ნაცნობთა და თაყვანის მცემელთა დასდონ პატივი და დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას **კვირას, 26 ნოემბერს**, სულით ავადმყოფთა ქსენონიდან (სოლოლაკი, კოჯრის ქუჩა), დილის 9 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—1)

---

**ქართული თეატრის არტისტები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და პატივისმცემელთა, რომ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ხანგრძლივის და სასტიკის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი და ერთგული მათი თანამშრომელი

## კნ. ბაბო ავალიშვილისას

მიცვალებულს გამოასვენებენ სულით ავადმყოფთა ქსენონიდან (სოლოლაკი, კოჯრის ქუჩა) კვირას, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—1)

---

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** ამით აუწყებს, რომ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ხანგრძლივის და სასტიკის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **ქართული სცენის დამსახურებული არტისტი ქალი**

## კნ. ბარბარე ანდ. ასყული ავალიშვილისას

მიცვალებულს გამოასვენებენ სულით ავადმყოფთა ქსენონიდან (სოლოლაკი, კოჯრის ქუჩა) კვირას, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2—1)

---

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა და ქართული დასის არტისტები** გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ 22 ნოემბერს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ **ქართული თეატრის სუფლიორი**

## კოლა გალუსტოვი

მიცვალებულს გაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზე შაბათს, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საკუთარ სადგომიდან ფომინოვის ქუჩაზე, № 13, კათოლიკეთა ეკლესიაში, შუა ბაზარში. (2—2)

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**23 ნოემბერი**

**პეტერბურგი.** 23 ნოემბერს, დილის 9 საათზე, პეტერბურგში მოასვენეს გვამი ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თავადი იმერეთინსკისა და დაკრძალეს სულის წმიდის ეკლესიაში. დაკრძალვას დაესწრნენ დიდი მთავრები ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე და სერგი მიხეილის-ძე და პრინცი ალექსანდრე პეტრეს-ძე ოლდენბურგსკი.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ ელჩები გუშინ შეთანხმდნენ პირობათა პროექტის შესახებ და გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ გაუგზავნონ იგი თავიანთ მთავრობათ. გეიმ დეპეშით მიანდო კონჯერს ამერიკის სახელით მოაწეროს ხელი შეთანხმებას. ძნელია შეთანხმების შინაარსის დაწვრილებით გაგება; ცნობილია მხოლოდ, რომ ამერიკამ თავისი აზრი გაიყვანა დამნაშავეთა დასჯის და ზღვევის რაოდენობის შესახებ. სასჯელი უნდა იქმნეს იმდენად სასტიკი, რამდენადაც ჩინეთის მთავრობა შესაძლებლად სცნობს. მან ფორმალურად უნდა მიიღოს ვალდებულება გადუხადოს უცხოელთ ყველა ის ზარალი, რომელიც აღინიშნება მომავალ მოლაპარაკების დროს. რაც შეეხება მშვიდობიანობის პირობათა სხვა მუხლებს, მათ საფუძვლად დაედო საფრანგეთის წინადადება.

**კელნი.** კრიუგერი წავიდა გააგაში საგანგებო მატარებლით 9 საათზე და 45 წამზე; პოლიციამ დიდი ზომები მიიღო, რათა დაეშალა დიდძალი საზოგადოების შეკრება. გზა, რომელზედაც იდგა საგანგებო მატარებელი, შელობილი იყო; დიდ-ძალი ხალხი იდგა საგანგებოდ დანიშნულს ადგილებზე. როდესაც კრიუგერი გამოჩნდა, ხალხი ალტაცებით მიეგება მას და ალტაცებითვე გააცილა იგი.

**გააგა.** მეორე პალატა. სხდომის დაწყობამდე პრეზიდენტმა წარმოსთქვა შემდეგი: „მოწყალენო ხელმწიფენო! ბატონი პრეზიდენტი კრიუგერი დღეს მოვა ჩვენ სატახტო ქალაქში; ამიტომ წინადადებას გაძლევთ, მომანდოთ მე მივესალმო თქვენს მაგიერ პრეზიდენტს და გამოუცხადო მას ჩვენი გულითადი სიყვარული“. პალატამ ალტაცებით მიიღო წინადადება.

**პეკინი.** ხმა, ვითომც კალგანიდან დაბრუნებული ექსპედიცია დამარცხებულ იქმნა, მოკლებულია ყოველს სიმართლეს. ამ ექსპედიციამ ჩაიგდო ხელში საბუთები, რომლებითაც მტკიცდება, რომ ინგლისელი პორუჩიკი უატჯსონსი წარსულ ივლისს მოკლულ იქმნა კიეფ იურჯენში ამ მაზრის ჩინელ მმართველის ბრძანებით.

**ლონდონი.** სეფე-სიტყვაში პარლამენტის გახსნის დროს ნათქვამია შემდეგი: „დაიბადა საჭიროება მოიძებნოს ახალი საშუალებანი იმ ხარჯების დასაფარავად, რომელნიც გამოიწვია ჩემი ჯარების მოქმედებამ სამხრეთ-აფრიკაში და ჩინეთში. მე მოგიწვიეთ თქვენ განსაკუთრებულ სხდომაზე, რომ თქვენ დაამტკიცოთ საჭირო ხარჯები; სხვა თქვენთვის საყურადღებო საგნების შესახებ მე გამოვსთქვამ ჩემს აზრს გაზაფხულზე, როცა პარლამენტი შეიკრიბება ჩვეულებრივ სხდომებისათვის.

---

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

*ისე ცუდად მიდის ამ ბოლოს დროს ინგლისის საქმეები სამხრეთ-აფრიკაში, რომ ომის წინააღმდეგებს გული მიეცათ ისევ. მათ გააახლეს თავიანთი პროპაგანდა, რომელიც უნაყოფოთ არა რჩება. გუშინ მათ გამართეს ლივერპულში დიდი კრება, რომელზედაც დაესწრნენ გამოჩენილი წევრები ოპოზიციისა. დღეს ლიბერალური ორგანოები ურჩევენ მთავრობას გაათავოს ომი და მოურიგდეს ბურებს იმ ნაირად, რომ ისინი დაემორჩილნენ ინგლისის მფარველობას (სიუზერენიტეტს) და მათ მიეცეთ სრული თვით-მმართველობა.*

*საფინანსო ორგანო «სტატისტი» აძრა ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ ინგლისის მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყოს დევეტსა და ბოტასთან და რამე ნაირად მოურიგდეს მათ.*

*ბურებთან ომი ინგლისელებს უკვე ერთ მილიარდ მანეთამდე უზის; ამას გარდა მათ დაკარგეს 75-ათას კაცამდე ჯარის-კაცი ომში მოკლული, დაჭრილი და სატკივრებისაგან დახოცილნი და დასნეულებული. ბურებს, როგორც ირწმუნებიან, თავის დღეში არ ჰყოლიათ 50 ათას-კაცზე მეტი ჯარი; გამოდის, რომ თითო ბურის ჯარის კაცი ინგლისს 20,000 მანეთი დაუჯდა.*

*მაგრამ ჯერ ომის გათავებამდე შორს არის; ხარჯი უფრო იზრდება, ჯარის-კაცები აკლდება. ბოლოს და ბოლოს ინგლისელებმა იქნება ინანონ კიდეც, რომ, ომის მაგივრად, მათ არ მისცეს ყოველს ბურს კარგა მოზრდილი თანხა და სამუდამო ჯამაგირით არ შეისყიდეს მისი დამოუკიდებლობა.*

*ნამდვილად უფრო იაფად დაჯდებოდა; მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ ბურებს დამოუკიდებლობა და*

თავისუფლება ზოგიერთბავით გასაყიდ საქონლად არ მიაჩნიათ.

« „ნაციონალ ცაიტუნგში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი: „ტრანსვაალის ომის შედეგად, სხვათა შორის, ისიც მოჰყვა, რომ სესილ-როდსის გავლენა შემცირდა არა თუ მარტო სამხრეთ-აფრიკაში, თვით ინგლისშიაც კი. დიდი ხანია, რაც ეს ამბავი დაიწყო. თითონ როდსმა წინათვე იცოდა, რომ ერთ დროს იგი საჭირო აღარ იქნება სამხრეთ აფრიკისთვის, და დიდი ხანია, რაც იგი ცდილობს, რომ სხვა ადგილი იშოვოს თავისი საფინანსო ოპერაციებისათვის. მან მოლაპარაკება გამართა ბელგიელ კაპიტალისტებთან, რომლებთანაც ჰსურდა დიდი ახალი საქმე დაეწყო შუა აფრიკაში, კონგოში. ამ დროს როდსმა გაიგო, რომ ბელგიელი კაპიტალისტები მთელ თავის თანხებს რუსეთში ამუშავებენ და ძალიან ბევრი დიდი სამრეწველო და საფინანსო საქმეები რუსეთში ბელგიელების ხელშია.

დიდმა მოგებამ, რომელსაც ბელგიელები იღებენ რუსეთში, როდსსაც აფიქრებინა რამე საქმე გამართოს რუსეთში. მისმა აგენტებმა კიდით-კიდემდე მოვლეს რუსეთი, და როდსმა გადასწყვიტა დაიწყოს ჯერ ჯერობით საქმე ურალზედ ოქროს მადნების შემუშავებით. ეს საქმე უკანასკნელი არ იქნება, რასაკვირველია, როდსისათვის. ამ საქმეს მოჰყვება სხვა უფრო ფართო საქმეები. რუსეთის ხელმძღვანელ წრეებში კეთილის თვალით შეჰხედეს ამ გამოცდილისა და მხნე მილიონერის მეცადინეობას, და ადვილად შესაძლებელია, რომ ამ კაცმა დიდი და კეთილი გავლენა იქონიოს რუსეთის მრეწველობის განვითარებაზედაო.»

« გამოაცხადეს ოფიციალური ცნობები შესახებ მოსახლეობის რიცხვისა საფრანგეთში 1899 წ. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ფრანგების რიცხვი ძალიან მცირეთ მატულობს.

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საფრანგეთში ყოველ წელს დაბადებულა—857,372, მომკვდარა—829,232, ესე იგი წელიწადში ქვეყანას ემატება სულ მცირე რიცხვი—28,140 სული. დაწვრილებითი გამოკვლევა სტატისტიკური ციფრებისა გვიჩვენებს, რომ საფრანგეთში ყოველ წლივ მიცვალებულთა რიცხვი შედარებით მცირეა, ჯვარდაწერილთა რიცხვი საკმაოდ დიდია, უშვილო ოჯახები საზოგადოდ ცოტაა და მცირე ზრდა მოსახლეობის რიცხვისა უმეტესად აიხსნება იმისთანა სახლობების სიმცირით, რომლებსაც სამი და მეტი ბავშვი ჰყვანდეთ.

ფრანგებს ამ საკითხში ყველაზედ მეტად აღონებთ შედარება გერმანიასთან უკანასკნელს 1850 წ. ჰყავდა იმდენივე მოსახლეობა, რაც საფრანგეთს:—35 მილიონი, ეხლა კი მას ჰყავს 55 მილიონი სული, როდესაც საფრანგეთს მხოლოდ 38 მილიონი ჰყავს. დაბადებულთა რიცხვი ამავე წელს გერმანიაში ყოფილა 1,9[illegible]4,731, ესე იგი $2^1/_3$ მეტი საფრანგეთში დაბადებულთა რიცხვზედ, საფრანგეთის მამულიშვილნი ამის გამო დიდის შიშით მოელიან, რომ 7 წლის შემდეგ გერმანიას ერთი ორად მეტი რიცხვი ეყოლება ჯარში წასაყვან უმაწვილ-კაცებისა, სინამ საფრანგეთს და ამის გამო ერთი ორად ძლიერი იქნება მასზედ.

ეს ისეთი სატკივარია, რომლის წამალი ჯერ არავის მოუგნია.

## ახალი ამბავი

✦ 26 ნოემბერს სამხედრო უწყება დღესასწაულობს **წმ. გიორგის ჯვრის დღეს.** კვირას სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი გარდახდილ იქნება წმ. ალექსანდრე-ნეველის სამხედრო-საკრებულო ტაძარში. პარაკლისის შემდეგ კავკასიის მთავარ-მართებელთან გაიმართება საუზმე ყველა იმ პირთათვის, ვისაც წმ. გიორგის ჯვარი აქვს.

✦ განზრახულია, საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოები—გურია-სამეგრელოსი, იმერეთისა და სოხუმის ეპარქიებისა—დაუმორჩილონ **საქართველოს საეპარქიო საბჭოს,** რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა საქართველოს ექსარხოსი.

✦ ქუთაისიდან გვწერენ: „ქუთაისს ჩვეულებრივად „კენჭობის“ ფერი დაედო. ქუჩებში გაცხოველებული ბაასია კანდიდატების შესახებ. სახეები არა-ჩვეულებრივად გაცოცხლებულნი არიან. ყველას აღელვება ეტყობა. ყველა ცხარობს, დავობს. ერთ ჯგუფთან მოდის ამბავი სარწმუნო წყაროდან, რომ ბ-ნი დ. ბაქრაძე კიდევ იდგავს ყუთსაო. ყველა გაოცებულია და არა სჯერათ, მაგრამ მეტად სარწმუნო წყაროა და ძალაუნებურად ყველას ეცინება. ეს ის დ. ბაქრაძეა, რომელიც წინად გაშავებულ იქმნა გუბერნიის მარშლის თანამდებობაზედ და რომელიც 25 წელიწადია ყუთს იდგამს და ყოველთვის შავდება. გასაოცარია მისი ენერგია სწორედ!

გუბერნიის მარშლის თანამდებობაზედ კანდიდატებად ასახელებენ ეხლანდელს მარშალს თ. სვიმონ გ. წერეთელს და თავ. ნ. ყ. თავდგირიძეს, ოზურგეთის ქალაქის თავს“.

✦ კვირას, 19 ნოემბერს, მთავარმართებლის სასახლეში, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით, მოხდა საზოგადო კრება **ბრმათა სამზრუნველო საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა. თავდაპირველად კრებამ დაამტკიცა განყოფილების მოღვაწეობის ანგარიში 1899 წლის განმავლობაში. საანგარიშო წელს განყოფილებას შემოუვიდა 46 ათასი მანეთი; ჩვეულებრივ საჭიროებას მოხმარდა იმავე დროს განმავლობაში $25^1/_2$ ათასი მანეთი. ყველაზე მეტი დახარჯულა ბრმათა ტფილისის სასწავლებელზე—12 ათასი მანეთი და შემდეგ თელის საავადმყოფოზე—8000 მანეთი. სასწავლებელში წლის განმავლობაში იზრდებოდა 34 ქალი და ვაჟი. სასწავლებლის მახლობელი მზრუნველი და პატრონია კნ. დ. რ. ჰავჰავაძისა, რომელსაც კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა შრომისათვის. განყოფილებამ წელს აიშენა მშვენიერი შენობა ავლაბარზე ბრმათა სასწავლებლისათვის, რომელიც დაუჯდათ $67^1/_2$ ათასი მან. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებას წარედგინა განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა 1901 წლისათვის. სულ შემოსავალი მოსალოდნელია 28,415 მან., გასავალი—25,742 მან. კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. ბოლოს არჩეულ იქმნენ განყოფილების საბჭოს წევრებად: მ. ს. შაჰპარონიანცი, პ. ფ. ფონ-პარკაუ და ვ. ა კოსსოვსკი: სარევიზიო კომისიის წევრებად: თავ. პ. მ. მამაცოვი, ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი და მ. ო. ფიშერი.

✦ დღეს, 25 ნოემბერს, დაასაფლავებენ კუკიის სასაფლაოზე უდროვოდ გარდაცვალებულს მოღვაწეს ქართულის სცენისას **ნიკ. გადუსტოვს.** განსვენებულს თავის ხარჯით ასაფლავებს ქართული დრამატიული საზოგადოება. არ იქნება ურიგო, რომ ამ საზოგადოებამ მცირედი შემწეობა მაინც აღმოუჩინოს გარდაცვალებულის ოჯახს—ქვრივსა და ერთ შვილს.

✦ სოხუმიდან „ნოვოე ობოზრენიე“-ს სწერენ: „ბ-ნი ალ. სარაჯიშვილი სრულიად უაგიტაციოდ იქმნა არჩეული ქალაქის თავად. ბ-ნნი თ. სახოკია და ა. ჯუღელი, რომლებსაც ერთი გაზეთი („ჩერნომორსკი ვესტნიკი“) პარტიობას სწამებდა, ეხლა აღარ არიან სოხუმში. ქალაქის თავმა ბ-ნმა ბერენსმა, გახსნა თუ არა ჩვეულებრივი კრება საბჭოსი, ხმოსნებს გამოუცხადა, გუბერნატორის ბძანებით დაუყოვნებლივ უნდა აირჩიოთ ქალაქის თავიო. ხმოსნებმა $^1/_2$ საათით სხდომის შეწყვეტა ითხოვეს და ამ დროს განმავლობაში გადასწყვიტეს ისევ ბ-ნის ალ. სარაჯიშვილის არჩევა. წინდაწინ ქალაქის თავმა განმარტა ის გარემოება, რომ ვინმე არ იქმნა ერთხელ რომ დამტკიცებული, საბუთად არ ჩაითვლება, მეორედ არ იქნას არჩეულიო. თუმცა ბევრნი აქ არც იცნობენ ბ-ნს სარაჯიშვილს, მაგრამ მიიღეს სახეში მისი წარსული და ახლანდელი სამსახური და აგრეთვე საპატიო პირთა აზრი და უმრავლესობამ უყოყმანოდ ამოირჩია იგი“.

✦ უმთავრესმა სასულიერო უწყებამ განმარტა, რომ ის პირნი, რომელნიც ეგზამენს იჭერენ რომელიმე **სასულიერო თანამდებობაზედ** და ერთხელ ვერ დაიჭერენ, მეორედ შეუძლიანთ გამოცდა ითხოვონ მხოლოდ $^1/_2$ წლის შემდეგ; თუ მეორედაც ვერ დაიჭირეს ეგზამენები, მესამედ აღარ აქვთ ნება ითხოვონ გამოცდა.

✦ ხვალ სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება ქართული **სახალხო კონცერტი.** არტისტები და სცენისმოყვარულები დაუკრავენ როიალსა და სკრიპკას, აასრულებენ solo-სიმღერებს და წაიკითხავენ სცენებსა და ლექსებს; ხორო შეასრულებს რამდენიმე სიმღერებს.

✦ დღეს, 25 ნოემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში შესანიშნავი პიანისტი, პროფესორი პარიზის კონსერვატორიისა, **რაულ პუნიო** გამართავს ერთად ერთს კონცერტს ტფილისში.

✦ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის **სასწავლებელთა გამგე კომისიას** ზოგიერთ საგნების განსახილველად. სხდომაზე პირველად განხილულ იქმნა ქ. ბ-ნ ვორონოვის განცხადება ქალთა-პირველ საკვირაო სკოლის შესანახად ყოველ წლობით 300 მანეთის გადადების შესახებ. კომისიამ დაადგინა აღმოუჩინოს პირველ ქალების საკვირაო სკოლას ყოველ წლობით 300 მანეთით შემწეობა და ამასთანავე მოსთხოვონ აღნიშნულ სკოლის გამგეს წარუდგინოს კომისიას მოხსენება ამ სკოლის მოქმედების შესახებ. ხარფუხის ქალაქის პირველ დაწყებით სკოლის თათრული ენის მასწავლებლად ამორჩეულ იქმნა უსეინ-ასან-ზადე. კომისიამ ამ სხდომაზე აგრეთვე დაადგინა შეიმუშაონ წესი ქალაქის სკოლებში პუშკინის სახელობის 4 სტიპენდიის დაარსების შესახებ. დასასრულ, კომისიამ დაამთავრა სასწავლებლების მკურნალისათვის ინსტრუქციის პროექტის განხილვა და მცირეოდენის ცვლილებებით დაამტკიცა იგი, რომელიც წარედგინება დასამტკი-

ცემლად ახლო მომავალში ქალაქის საბჭოს.

✦ ამას წინად ლაპარაკი ალიძრა ქალაქის გამგეობაში ქალაქის სასწავლებლებში კურს-დამთავრებული ყმაწვილების ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში უეგზამენოდ მიღების შესახებ. ამ საგანზე ორი მოსაზრება იყო გამოთქმული: 1) სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელნი დაესწრნენ ხოლმე ქალაქის სასწავლებლებში მოსწავლეთაგან კურსის დასრულების დროს გამოცდაში, რის შემდეგაც უეგზამენოდ მიიღონ ბავშვები სახელოსნო სასწავლებელში, ხოლო მე-2, რომ უეგზამენოდ არ იქმნან ბავშვები სახელოსნო სასწავლებელში მიღებულნი; ეს საქმე განიხილა გუშინ წინ ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ და დაადგინა დაავალოს კომისიის თავმჯდომარეს ვრცელი მოხსენება წარმოუდგინოს კომისიას ამ საგნის შესახებ.

✦ სახაზინო რკინის გზების ინსპექტორმა ა. ნ. გორჩაკოვმა 20 ნოემბერს დაათვალიერა ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები ტყიბულის საზოგადოებისა (ნოვოსელსკის ყოფილი), რომელნიც 23 ნოემბერს უნდა გაყიდულიყო საჯარო ვაჭრობაზე. გუშინ წინ ა. ნ. გორჩაკოვი წავიდა ყარსისაკენ რკინის გზის დასათვალიერებლად.

✦ დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფლების მცხოვრებთ, რომელნიც დუშეთში ხელოსნობენ და ვაჭრობენ, საჩივარი შეუტანიათ დუშეთის ქალაქის თავზე იმის შესახებ, რომ მას დამატებითი გადასახადები დაუწესებია: თერძებისაგან—სამ-სამი მანეთი. ბაზაზებისაგან—თითო თუმანი, მერძევეებისაგან—სამი მანეთი და სხვა. მომჩივნები თხოულობენ ამ გადასახადების მოსპობას, რადგანაც არ სთვლიან მათ კანონიერად.

✦ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პირველი მუხლი და დაადგინა: 1) გადადებულ იქმნეს ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელ-გამგე-მოსამსახურეთა შესანახად 35,441 მან. თვით სკოლებისათვის სახარჯოდ 22,827 მან. და ამასთანავე ერთხანად სკოლების სხვა და სხვა საჭიროებისათვის 2216 მან.; 2) გადადებულ იქმნეს 1557 მან. პუშკინის სახელობის სკოლის შესანახად და ამ სკოლის მასწავლებლის ჯამაგირისათვის; 3) ორი საქალებო სკოლის დასაარსებლად 8880 მან., 4) მისის იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობის სკოლის შესანახად 1 სექტემბრიდან 3`6 მან და 67 კაპ., იმავე სკოლის სხვა და სხვა ხარჯისათვის 845 მან., ბიბლიოთეკისათვის 240 მან., სულ 1491 მ. და 67 კაპ., ამას გარდა სკოლის მოსაწყობად 573 მან. და სასკოლო ბიბლიოთეკის მოსაწყობად 172 მან. 5) ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორ-მასწავლებლებისა და მოსამსახურეთა შესანახად—20,896 მ., სასწავლებლის სხვა და სხვა ხარჯებისათვის—11,753 მან. და შენობის მოსაწყობად 8000მან., 6) ქალაქის საქალებო პროფესიონალურ სკოლის შესანახად 7720 მან., 7) ქალაქის სკოლების მოსაწყობად, სპვა და სხვა საჭიროებათათვის 3224 მან., 8) მოსწავლეთა და მასწავლებელთა შემწეობისათვის 1630 მ., 9) მასწავლებელთა შორის განათლების გასავრცელებლად 3000 მან და 10) ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის განკარგულებაში 1500 მ. სხვა და სხვა საჭიროებათათვის.

## † ბარბარე ავალიშვილისა.

ულმობელმა სიკვდილმა კიდევ წაგვართვა ერთი საზოგადო მოღვაწე. წლევანდელი წელიწადი რაღაც უბედურ წლად მოევლინა ჩვენის ქვეყნის მოჭირნახულეთა გუნდს: გიორგი წერეთელი, ილია ბახტაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ბარბარე ავალიშვილისა,—ერთად ამდენ მოღვაწეთა დაკარგვა გაორკეცებულ მწუხარებას ჰგვრის ქართველ საზოგადოებას. მცირეა ჩვენში ნიჭიერ და მშრომელ მუშაკთა რიცხვი, და ამიტომ ყოველი დაკარგვა მეტად საგრძნობელი ხდება ჩვენში. ბარბარე ავალიშვილისა, მართალია, სამი წელიწადია უკვე, რაც განშორდა ქართულ სცენას და ავად იყო, მაგრამ მორჩენის იმედი კიდევ გვქონდა, ასე რომ მისი გარდაცვალება დიდად შეაწუხებს მისი ნიჭისა და მოღვაწეობის თაყვანისმცემელთ...

კნ. ბარბარე ანდრიას ასული ავალიშვილისა (თავ. ხერხეულიძის ქალი) დაიბადა 1850 წ., სწორედ ქართულის თეატრის დაარსების დროს. სწავლა დაამთავრა წმ. ნინოს სასწავლებელში 1868 წელს პირველის ხარისხით და შიფრით. იმ ხანებშივე მონაწილეობას იღებდა ქართულ წარმოდგენებში, რომელსაც ჰმართავდნენ სცენის მოყვარენი სხვა-და-სხვა კლუბებში; ქმარს გაჰყვა 1874 წ.; შემდეგ, როცა დაარსდა სამუდამო დასი, იგი მიწვეულ იქმნა დრამატიულ კომიტეტის მიერ, როგორც უკვე გამოცდილი მოთამაშე და იმ დღიდან მოყოლებული განუწყვეტლივ თამაშობდა ქართულ სცენაზე პირველ დრამატიულ როლებს, რითაც ხელი შეუწყო და დაამკვიდრა ქართულ სცენაზე დრამები. 1897 წელს განსვენებული საზარელმა სენმა შეიპყრო: იგი შეირყა გონებით და იმ დღიდან მონაწილეობას ვერ ღებულობდა.

დიდია განსვენებულის ღვაწლი ჩვენის სცენის წინაშე, და ამიტომაც ბარბარე ავალიშვილის სახსენებელიც საუკუნოდ დარჩება ჩვენის ქვეყნის განვითარების ისტორიაში.

# თეატრი

23 ნოემბერს ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა ქალმა თავის საბენეფისოდ დასდგა 5 მოქმედებიანი დრამა «კაეშანი» შპაჟინსკისა და მესამე მოქმედება ავ. ცაგარლის პიესიდან «მათიკო».

ფორტუნატ კუზმიჩ ნედიხლაევი (ვლ. ალ.-მესხიშვილი) უმთავრესი გმირი შპაჟინსკის დრამისა გამოქცევია მოსკოვს თავის ახალგაზდა ცოლით მარია ლავრენტიევნათი (გარგარეთელი) და დით ტასია კუზმოვნათი (ჩერქეზიშვილისა) და დასახლებულა პროვინციაში. აქ შეხვდება თავის მეგობარ ფოსტის მოხელეს პროხორ რევიაკინს (გედევანოვი), რომელსაც შვილად ჰყავს აყვანილი ქალ-გოგო პაველ რუმეჟნიკოვი (სვიმონიძე) და პოლენკა გოლოვნევა (მდივანი). პირველ მოქმედებაშივე ჰხვდებით ყველა მომქმედ პირთ გარდა პოლენკა გოლოვნევასი და პირველ მოქმედებაშივე ჰცნობილობთ თავიანთ სიღრმე-სიგანით, სულით და ხორცით მოქმედ პირთ. შემდეგ მოქმედებებში მათ ხასიათს არა ემატება რა. პიესის თავისებურობა ამით ხასიათდება. ავად მყოფი სულით და ხორცით, გაუბედავი, იჭვიანი და ცოლის მონა ნედიხლაევი უკანასკნელ მოქმედებაშიაც, როდესაც ყვირის «ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთო» ისეთივე რჩება, როგორიც პირველ მოქმედებაში არის. ნედიხლაევის ამ სიტყვით თავდება პიესა, და მაყურებელს ძალა-უნებურად ებადება ამ სიტყვის პასუხი: «სტყუი, ისევ ძველ ცხოვრებას შეუდგებიო!» კარგად გაუგია ალ.-მესხიშვილს ეს ტიპი, რომ პირველ მოქმედებაშივე, როგორც ამბობენ, სადავე დაუჭირა და ბოლომდის საუცხოვოდ ჩაატარა. არ გვგონია, სხვა ჩვენ არტისტს რომ აესრულებინა ნედიხლაევის როლი, რაიმე შთაბეჭდილება მოეხდინა, რადგანაც, როგორც ზევით გვაქვს ნათქვამი, უკანასკნელ ოთხ მოქმედებაში ნედიხლაევს არა ემატება რა და მოსაწყენი იქნებოდა ნედიხლაევის ხუთჯერ ხილვა. მხოლოდ მესხიშვილის ძლიერმა ნიჭმა გააცოცხლა ნედიხლაევი და სიამოვნებით მოელოდა მის გამოსვლას მაყურებელი. აღტაცებულ ტაშის ცემას ბოლო აღარა ჰქონდა. პიესისავე ბრალია, რომ სხვა მსახიობნი, გარდა გედევანოვისა და ჩერქეზიშვილისა ერთ-ფეროვანნი იყვნენ. პირველმა ნიჭიერად შეასრულა გულ-კეთილი, მაგრამ გარეგნობით სასტიკი ხასიათის პროხორ რევიაკინის როლი. მეორემ კი (ჩერქეზიშვილისა) ტასია კუზმოვნა ნედიხლაევა გაამასხარავა. სამაგიეროდ «მათიკოში» საუცხოვო იყო ქეთევანის როლში. ძალიან მხიარულად ჩაიარა «მათიკოს» მესამე მოქმედებამ, თუმცა რეჟისორის ხელი აკლდა. წარმოდგენის დროს აბაშიძეს უხდებოდა სწავლება, ვის როგორ უნდა დაეჭირა თავი, ან როდის შემოეტანათ ქათამი და მეღვინე როგორ უნდა მოქცეულიყო. კიდევ კარგი, აბაშიძის კილოს სიმღერა ჰფარავდა.

მწუხარებით კიდევ გვიხდება აღნიშვნა, რომ როლების უსწავლელობა ძალიან ემჩნევათ ჩვენ მსახიობთ, რის გამოც ძალიან კარგი თამაშიც უქარწყლდებათ უაზრო და უადგილო ადგილას სიტყვების ამოსროლით.

## სასამართლოს მატიანე

I

ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის, სოფ. წირის მცხოვრების სერგო რიყამაძისა და შორაპნის მაზრის სოფ ცუხარელის მცხ. ეზეკია ბესარიონისძის ბეცხრიაიძისა, რომელთაც ბრალად ედებოდათ ამა 1900 წლის 18 მარტს ღამით სოფელ ახალ სოფლის მცხოვრების მოსე ქათამაძის სახლზე თავდასხმა გასაძარცვავად. საქმის გარემოება შემდეგია: 18—მარტს, ღამით, მოსე ქათამაძის დედა, სოფიო, ძაღლების ყეფაზედ გამოსულა ეზოში და როცა ვერავინ შეუნიშნავს შებრუნებულა შინვე და კარები ურდულით ჩაუკეტნია; ცოტა ხნის შემდეგ კიდეც შეიარაღებულ ბოროტ-მოქმედთ ჩაუმტვრევიათ კარები, შეცვივნულან სახლში, უტაცნიათ სოფიოსათვის ყელში ხელი და დაუწყვიათ ფულის თხოვნა, სოფიოს ყვირილზედ გამოღვიძნიათ სოფიოს ქალებს რუსუდანსა და ანიკოს, რომელნიც შიშით აკანკალებულნი შემოჰხვევიან ხანჯალ ამოღებულ ბოროტ-მოქმედთ და დაუწყვიათ ხვეწნა არ მოეკლათ მათი ბებერი დედა. ამასობაში გამოჰღვიძებია სოფიოს ვაჟსაც, მოსე ქათამაძეს, რომელსაც ზოგნი ბოროტ-მოქმედთაგანნი მისცვივიან ხანჯლებით და დამუქრებიან, თუ ფულს არ მისცემს, მოჰკლავენ. მოსეს მოუხელებია, გაჰქცევია ქურდებს, გავარდნილა ეზოში და დაუწყვია ძახილი მეზობლე-

ბისათვის მოსაშველებლად; ქურდებს რაკი შეუტყვიათ, რომ ქათამძეებს მოეშველნენ მეზობლები, თავი მიუნებებიათ მათი სახლისათვის და გაქცეულან ისე, რომ ვერავერის წაღებაც ვერ მოუსწრიათ. ეს საქმე პირველად ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა ამა წლის 7 სექტემბერს. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია რიყამაძე და ბუცხრიკიძე აღნიშნულ ბრალდებაში და გარდაუწყვეტია მათთვის ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და ციმბირის შორეულს გილებში გარდასახლება. ბრალდებულთ ოლქის სასამართლოს განაჩენი გაუსაჩივრებიათ სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 23 ნოემბერს, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო იგინი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

II

ამავე დღეს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე გორის მაზრის, დაბა სურამის მცხოვრების თავ. ილია ხიდირბეგიშვილის საქმე, რომელსაც ბრალად ის ედებოდა, რომ მან 1898 წლის 19 დეკემბერს სურამის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს დავით ლაღიძეს შეურაცხყოფა მიაყენა შემდეგის სიტყვებით: «მე არ შემიძლიან მაგის გონჯი სახე დავინახო, მე ეგ მეზიზღება, წაიყვანეთ აქედან», და კიდევ ვითომც ხიდირბეგიშვილს ლაღიძეზედ ეთქვას, რომ მან 200 მ. ქრთამი აიღოო. ტფილისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო თავ. ხიდირბეგიშვილი აღნიშნულ ბრალდებაში და გარდაუწყვიტა ორის კვირის ვადით ციხეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

## საღამოს დეპეშები

**24 ნოემბერი**

**ლივადია**, 24 ნოემბერი, დილის 11 საათზე ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წუხანდელი ღამე კარგად გაატარა; ტემპერატურა და მაჯა—ნორმალური აქვს. თვითგრძნობიერება ძალიან კარგი აქვს. ლეიბ-ხირურგი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი ექიმი ტიხონოვი.

რედაქტორი: **ალ. ჭყონია.** გამომცემელი: **ალ. ჯაბადარი.**

# განცხადებანი


## მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 1900 წლის 30 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში, ქუთაისში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით დაბა ჭიათურაში სამრეწველო საურმე გზების გაკეთება 8800 მან. ღირებულობისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს გირაო ფულად ან სარგებლიანი ქაღალდებით საიჯარო ღირებულობის ათი პროცენტი. ხარჯთ-აღრიცხვა, გეგმა და პირობები შეიძლება განიხილოს ყოველ-დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის გარდაწყვეტილება საბჭომ უნდა დაამტკიცოს. (ნ. 3—3)

**დაიბეჭდა და იყიდება** წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **ზ. არაგვისპირელის**

## პირველი წიგნი

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ზემო მოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

**წარსული წლების ჟურნალი**

## მოამბე

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალ „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალ

## მოამბის

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинск. журнала „Моамбе“.

# „ივერია“

გამოვა **1901** წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

**ფასი გაზეთისა:**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. | | 6 თვით | 6 მ. | — კ. |
| 11 „ | 9 „ | 50 „ | | 5 „ | 5 „ | 50 „ |
| 10 „ | 8 „ | 75 „ | | 4 „ | 4 „ | 75 „ |
| 9 „ | 8 „ | — „ | | 3 „ | 3 „ | 50 „ |
| 8 „ | 7 „ | 25 „ | | 2 „ | 2 „ | 75 „ |
| 7 „ | 6 „ | 50 „ | | 1 „ | 1 „ | 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.

სოფლის მასწავლებლებთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

**შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის:** ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელის-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან; პირველ მარტს—2 მან; პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან.

**ფასი განცხადებისა:**

მეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ..

**გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:**

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქ., ქართველთ თავად-აზნაურთა ქარვასლა.

ტელეფონი **№ 227.**

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ** Редакція „ИВЕРІА.“

(5—2) რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

Открыта подписка на 1901 г.

**на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету**

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Газета будетъ выходить въ 1901 году подъ прежней редакціей и по прежней программѣ.

Съ цѣлью удовлетворить все болѣе развивающуюся потребность въ чтеніи, **форматъ** газеты съ конца нынѣшняго года будетъ **увеличенъ**.

## Условія подписки

**СЪ ДОСТАВКОЙ И ПЕРЕСЫЛКОЙ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. | На 6 мѣсяцевъ | 6 р. — к. |
| „ 11 „ | 9 р. 50 к. | „ 5 „ | 5 р. 25 к. |
| „ 10 „ | 8 р. 75 к. | „ 4 „ | 4 р. 75 к. |
| „ 9 „ | 8 р. — к. | „ 3 „ | 3 р. 50 к. |
| „ 8 „ | 7 р. 25 к. | „ 2 „ | 2 р. 75 к. |
| „ 7 „ | 6 р. 50 к. | „ 1 „ | 1 р. 50 к. |

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на 3 мѣсяца—5 р.

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., на полгода—4 р.

*Лица, подписывающіяся на будущій годъ, получаютъ газету въ нынѣшнемъ году безплатно.*

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Книги, издаваемыя редакціею, будутъ продаваться подписчикамъ „Нов. Об.“ съ уступкою 50%. (შ. 3—2)

**დაიბეჭდა და იყიდება დ. კლდიაშვილის მოთხრობა**

## ქამუშაძის გაჭირვება

ტფილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. ქუთაისში: ვ. ბეჟანიშვილის და ბათუმში — სვ. ჭელიძის მაღაზიებში. (5—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Ноября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.